საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3886
28/07/2022

3886-21-2-202207281457

ი/მ ნატა პაპუნაშვილს
მის: ქ. თელავი, გრ.ორბელიანის ქ., N 7
ელ.ფოსტა: vakhochapura@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3032 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩაჩხრიალაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინიგნის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, შესავალში აღნიშნულია, რომ ი/მ ნატა პაპუნაშვილს ახმეტის რაიონში, სოფელი ჩაჩხრიალაში დამონტაჟებული აქვს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, ხოლო საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის თავში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი. ამასთან, 2022 წლის 4 მარტს და 14 ივლისს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ობიექტის ინსპექტირება, რომლის შედეგებითაც დასტურდება, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო და მისი შემადგენელი ობიექტები მოწყობილია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- დოკუმენტის გენ-გეგმაზე დატანილია სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტები, თუმცა, მითითებული არ არის მათი განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (სალექარის ეფექტურობა);

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- სკრინიგნის განცხადების თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება არტეზიულ ჭაში. დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო